



2021

შპს „კ და ქართული სპირტი“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური ანგარიშგება	
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	25
5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	26
6. ამონაგები	27
7. რეალიზაციის თვითღირებულება	27
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	27
9. მიწოდების და რეალიზაციის ხარჯები	27
10. ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	28
11. სხვა არასავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	28
12. ძირითადი საშუალებები	29
13. სხვა გრძელვადიანი აქტივები	30
14. არამატერიალური აქტივი	30
15. აქტივის გამოყენების უფლება	31
16. მარაგები	31
17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31
18. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	33
19. ფული და ფულის ეკვივალენტები	33
20. კაპიტალი	33
21. მიღებული სესხები	34
22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
23. საიჯარო ვალდებულებები	34
24. მიღებული ავანსები	35
25. საგადასახადო ვალდებულებები	35
26. პირობითი ვალდებულებები	35
27. ფინანსური რისკი	36
28. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	40
29. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	42
მმართველობის ანგარიშგება	43

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „კ და ქართული სპირტის“ მფლობელობა და ხელმძღვანელობა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „კ და ქართული სპირტის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავნიშნულვართ კომპანიის აუდიტორებად 2021 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების მდგომარეობისა და რაოდენობის შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენილია 13,015,283 ლარით. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა გრძელვადიანი აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენილია 12,282,900 ლარით. აღნიშნული აქტივი წარმოადგენს დაუმონტაჟებელ ღვინის წარმოების ხაზს, რომელიც შეძენილ იქნა 2017 წელს. აღნიშნულ გრძელვადიან აქტივზე არსებობს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორები და კომპანიას არ შეუფასებია ანაზღაურებადი ღირებულება. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება სხვა გრძელვადიანი აქტივის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის ფულადი სახსრების სრულ ინვენტარიზაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება სალაროში არსებული ფულადი სახსრები არსებობის შესახებ, რომელთან ჯამური ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს 729,550 ლარს (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,244,447 ლარი). კომპანია აგრეთვე პერიოდულად ანხორციელებს სალაროში არსებული ფულადი სახსრების კონვერტაციებს უცხოურ ვალუტებში. ჩვენ ვერ დავადგინეთ კონვერტაციის შედეგად გამოწვეული კურსთაშორისი სხვაობის ეფექტის სიზუსტე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებულ ფულად სახსრებში, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2021 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება - ოპერაციების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია დაკავშირებულ მხარესთან

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების 28-ე შენიშვნაზე, სადაც წარმოდგენილია ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანია საერთო მფლობელობის ქვეშ მყოფ დაკავშირებულ მხარეს უწევს მომსახურებას და აღნიშნული მომსახურება შეადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს.

ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორულმა ფირმამ, რომელმაც მოდიფიცირებული (პირობითი) მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2021 წლის 24 სექტემბერს. პირობითი მოსაზრების საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი გარემოება: აღნიშნული სხვა აუდიტორული ფირმა ვერ დააკვირდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს.

კომპანიის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩვენ აგრეთვე ჩავატარეთ მე-5 შენიშვნაში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომლებიც ეხება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას. ჩვენი აზრით მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად, და შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელ ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუდიტორული საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, კომპანიის 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

▶ თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან;

▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია თიეი“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი, 2022

თბილისი, საქართველო



შპს „კ და ქართული სპირტი“
 მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021	2020 *(გადაანგარიშებული)
ამონაგები	6	68,729,036	60,951,777
რეალიზაციის თვითღირებულება	7	(48,029,164)	(38,306,527)
საერთო მოგება		20,699,872	22,645,250
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,443,978)	(3,680,515)
მიწოდების ხარჯები	9	(3,805,264)	(4,667,460)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ცვლილება	17	6,146,210	(5,341,518)
საოპერაციო მოგება		18,596,840	8,955,757
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	21; 23	(1,875,691)	(1,910,924)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	10	587,260	(511,702)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	11	(2,868)	(609,586)
მოგება დაბეგვრამდე		17,305,541	5,923,545
მოგების გადასახადი	3 (დ)	-	-
წმინდა მოგება		17,305,541	5,923,545
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		17,305,541	5,923,545

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

 გიორგი დამენია
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კ და ქართული სპირტი“
მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ამონაგები	6	68,729,036	60,951,777
რელიზაციის თვითღირებულება	7	(48,029,164)	(38,306,527)
საერთო მოგება		20,699,872	22,645,250
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,443,978)	(3,680,515)
მიწოდების ხარჯები	9	(3,805,264)	(4,667,460)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ცვლილება	17	6,146,210	(5,341,518)
საოპერაციო მოგება		18,596,840	8,955,757
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	21; 23	(1,875,691)	(1,910,924)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	10	587,260	(511,702)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	11	(2,868)	(609,586)
მოგება დაბეგვრამდე		17,305,541	5,923,545
მოგების გადასახადი	3 (დ)	-	-
წმინდა მოგება		17,305,541	5,923,545
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		17,305,541	5,923,545

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი დამენია
დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კ და ქართული სპირტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნები	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020 <i>(გადაანგარიშებული)</i>	1 იანვარი 2020 <i>(გადაანგარიშებული)</i>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	6,561,775	7,111,562
სხვა გრძელვადიანი აქტივები	13	12,282,900	12,282,900
აქტივის გამოყენების უფლება	15	4,622,224	4,200,806
არამატერიალური აქტივები	14	544,404	616,682
სულ გრძელვადიანი აქტივები	24,011,303	24,211,950	25,158,889
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	16	21,021,475	23,250,501
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	22,271,291	18,460,522
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	18	17,342,579	697,390
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	880,990	1,249,836
სულ მიმდინარე აქტივები	61,516,335	43,658,249	40,178,710
სულ აქტივები	85,527,638	67,870,199	65,337,599
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	21	30,265,374	3,218,640
საიჯარო ვალდებულებები	23	6,884,253	6,695,308
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	37,149,627	9,913,948	5,656,784
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები	21	5,905,248	16,100,164
საიჯარო ვალდებულებები	23	124,356	179,162
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	13,783,058	16,536,817
მიღებული ავანსები	24	17,689,074	79,424
საგადასახადო ვალდებულებები	25	136,550	35,990
სულ მიმდინარე ვალდებულებები	37,638,286	32,931,557	33,544,160
სულ ვალდებულებები	74,787,913	42,845,505	39,200,944
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	10,506,784	10,506,784
კაპიტალში დამატებითი კონტრიბუცია	20	-	10,670,306
გაუნაწილებელი მოგება	20	232,941	3,847,604
სულ კაპიტალი	10,739,725	25,024,694	26,136,655
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	85,527,638	67,870,199	65,337,599

* ზოგიერთი ნაწევნები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი დამენია
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კ და ქართული სპირტი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

		31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020
	შენიშვნები		(გადაანგარიშებული)	(გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	6,561,775	7,111,562	20,029,077
სხვა გრძელვადიანი აქტივები	13	12,282,900	12,282,900	-
აქტივის გამოყენების უფლება	15	4,622,224	4,200,806	4,440,852
არამატერიალური აქტივები	14	544,404	616,682	688,960
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,011,303	24,211,950	25,158,889
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	16	21,021,475	23,250,501	12,275,309
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	22,271,291	18,460,522	18,227,826
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	18	17,342,579	697,390	8,171,795
ფული და ფულის ეკვივალენტები	19	880,990	1,249,836	1,503,780
სულ მიმდინარე აქტივები		61,516,335	43,658,249	40,178,710
სულ აქტივები		85,527,638	67,870,199	65,337,599
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	21	30,265,374	3,218,640	-
საიჯარო ვალდებულებები	23	6,884,253	6,695,308	5,656,784
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		37,149,627	9,913,948	5,656,784
მიმდინარე ვალდებულებები				
სესხები	21	5,905,248	16,100,164	28,269,135
საიჯარო ვალდებულებები	23	124,356	179,162	505,504
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	13,783,058	16,536,817	4,664,486
მიღებული ავანსები	24	17,689,074	79,424	66,440
საგადასახადო ვალდებულებები	25	136,550	35,990	38,595
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,638,286	32,931,557	33,544,160
სულ ვალდებულებები		74,787,913	42,845,505	39,200,944
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	20	10,506,784	10,506,784	10,506,784
კაპიტალში დამატებითი კონტრიბუცია	20		10,670,306	13,880,823
გაუნაწილებელი მოგება	20	232,941	3,847,604	1,749,048
სულ კაპიტალი		10,739,725	25,024,694	26,136,655
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		85,527,638	67,870,199	65,337,599

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი დამენია
 დირექტორი



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კ და ქართული სპირტი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონსტრიბუცია	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019 *	10,506,784	13,880,823	1,749,048	26,136,655
კაპიტალის შემცირება *	-	(3,210,517)	-	(3,210,517)
წლის მთლიანი სრული მოგება *	-	-	5,923,545	5,923,545
დივიდენდის გაცემა *	-	-	(3,824,989)	(3,824,989)
31 დეკემბერი 2020 *	10,506,784	10,670,306	3,847,604	25,024,694
კაპიტალის შემცირება	-	(10,670,306)	-	(10,670,306)
პერიოდის სრული მოგება	-	-	17,305,541	17,305,541
დივიდენდის გაცემა	-	-	(20,920,204)	(20,920,204)
31 დეკემბერი 2021	10,506,784	-	232,941	10,739,725

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

 გიორგი დამენია
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კ და ქართული სპირტი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწყისდებო კაპიტალი	კაპიტალში კონსტრიბუცია	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2019 *	10,506,784	13,880,823	1,749,048	26,136,655
კაპიტალის შემცირება *	-	(3,210,517)	-	(3,210,517)
წლის მთლიანი სრული მოგება *	-	-	5,923,545	5,923,545
დივიდენდის გაცემა *	-	-	(3,824,989)	(3,824,989)
31 დეკემბერი 2020 *	10,506,784	10,670,306	3,847,604	25,024,694
კაპიტალის შემცირება	-	(10,670,306)	-	(10,670,306)
პერიოდის სრული მოგება	-	-	17,305,541	17,305,541
დივიდენდის გაცემა	-	-	(20,920,204)	(20,920,204)
31 დეკემბერი 2021	10,506,784	-	232,941	10,739,725

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი დამენია *
 დირექტორი



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „კ და ქართული სპირტი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020 (*გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		17,305,541	5,923,545
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7; 8	1,096,195	1,035,680
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი წმინდა	17	(6,146,210)	5,341,518
ფინანსური ხარჯი	21; 23	1,875,691	1,910,924
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა		-	27,624
წმინდა ზარალი (მოგება) საკურსო სხვაობიდან	10	(587,260)	511,702
ფულადი სახსრების შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		13,543,957	14,750,993
ცვლილებები მარაგებში		2,229,024	(10,975,191)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,221,668)	1,086,402
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,915,203)	10,800,823
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		100,561	(2,606)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში		(16,645,188)	7,474,405
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		17,609,650	12,984
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		13,701,133	23,147,810
გადახდილი პროცენტი	21; 23	(1,799,526)	(1,929,495)
წმინდა ფულის შემოღინება საოპერაციო საქმიანობიდან		11,901,607	21,218,315
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	12	(297,814)	(116,365)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	12	86,539	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(211,275)	(116,365)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება	21	37,363,140	13,441,479
გადახდილი სესხები	21	(17,144,720)	(28,269,135)
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	23	(188,490)	(159,351)
დივიდენდის გაცემა		(20,920,204)	(3,824,989)
დამფუძნებლის კონსტრიბუცია კაპიტალში		(10,670,306)	(3,210,517)
წმინდა ფულადი სახსრების გადინება საფინანსო საქმიანობიდან		(11,560,580)	(22,022,513)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		129,752	(920,563)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(498,598)	666,619
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	1,249,836	1,503,780
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	880,990	1,249,836

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი დამენია
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


შპს „კ და ქართული სპირტი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		17,305,541	5,923,545
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7; 8	1,096,195	1,035,680
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი წმინდა	17	(6,146,210)	5,341,518
ფინანსური ხარჯი	21; 23	1,875,691	1,910,924
გრძელვადიანი აქტივების ჩამოწერა		-	27,624
წმინდა ზარალი (მოგება) საკუროს სხვაობიდან	10	(587,260)	511,702
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		13,543,957	14,750,993
ცვლილებები მარაგებში		2,229,024	(10,975,191)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(1,221,668)	1,086,402
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(1,915,203)	10,800,823
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში		100,561	(2,606)
ცვლილებები გაცემულ ავანსებში		(16,645,188)	7,474,405
ცვლილებები მიღებულ ავანსებში		17,609,650	12,984
ფულადი ნაკადები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში პროცენტამდე და დაბეგვრამდე		13,701,133	23,147,810
გადახდილი პროცენტი	21; 23	(1,799,526)	(1,929,495)
წმინდა ფულის შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		11,901,607	21,218,315
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	12	(297,814)	(116,365)
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	12	86,539	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(211,275)	(116,365)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების აღება	21	37,363,140	13,441,479
გადახდილი სესხები	21	(17,144,720)	(28,269,135)
საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა	23	(188,490)	(159,351)
დივიდენდის გაცემა		(20,920,204)	(3,824,989)
დამფუძნებლის კონსტრიბუცია კაპიტალში		(10,670,306)	(3,210,517)
წმინდა ფულადი სახსრების გაძინება საფინანსო საქმიანობიდან		(11,560,580)	(22,022,513)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა წლის განმავლობაში		129,752	(920,563)
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(498,598)	666,619
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19	1,249,836	1,503,780
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19	880,990	1,249,836

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი დამენია
 დირექტორი



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „კ და ქართული სპირტი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2017 წლის 12 ივნისს. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 427719249.

კომპანია საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე და ყიდის თავის პროდუქციას როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სპირტის წარმოება და საბითუმო ვაჭრობა.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელები იყვნენ ვახტანგ კარიჭაშვილი 80% წილით და გიორგი ღამბაშიძე 20%-იანი წილით.

კომპანიის მისამართია ქალაქი ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა; #337 საქართველო.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის გიორგი დამენია.

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ეჭვმდებარეებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის განაცხადი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიჯგვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასებამდე.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება ან ზარალი წერმოდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგების მუხლში, წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან ნეტო სიდიდით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.5040	4.0233
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2021	2020
1 USD/GEL	3.2209	3.1097
1 EUR/GEL	3.8139	3.5519

(ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც კომპანია სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების რეალიზაცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავალს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაზაფხულის ისე მიღების ადგილში, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კონტროლის გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის კომპანია ეყრდნობა შემდეგ მსჯელობას: როგორც კი საქონელი მივა შეთანხმებულ ადგილზე, კომპანიას აღარ გააჩნია მოცემულ საქონელზე მფლობელობის უფლება, რომელიც ამასთანავე წარმოქმნის ფულადი სახსრების მიღების უფლებას და მოცემული საკითხი არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან რისკებთან.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მოსალოდნელი ცვლადი ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბრუნვაზე მიბმულ ფასდაკლებაზე, ამცირებს მოსალოდნელ საკონტრაქტო შემოსავალს. ბრუნვაზე მიბმული ფასდაკლების პირობით პროდუქციის მიწოდებისას კომპანიის შემოსავალს აღიარებს იმ მოცულობით, რომელსაც მაღალი ალბათობით არ მოუწევს უკუგატარება, როდესაც დადგინდება შეთავაზებული ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულ პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

(დ) გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

გამომდინარე იქედან რომ კომპანია რეგისტრირებულია და ბიზნეს საქმიანობას ეწევა თავისფალ ინდუსტრიულ ზონაში, თავისუფლდება ყველა საგადასახადო ვალდებულებისგან, გარდა პროდუქციის მიწოდებისა.

(ე) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობები	4-20 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-20 წელი
ქარხნის აღჭურვილობა	4-20 წელი

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

